



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალგინი ანატოლი ნიკოლოზის ძე



ა. კალგინი

კალგინი ანატოლი ნიკოლოზის ძე [20. IV (2.V). 1875, ვლადიკავკაზი, - 27. III. 1943, თბილისი], არქიტექტორი. დაამთავრა პეტერბურგის სამოქალაქო ინჟინერთა ინ-ტი (1900). მუშაობდა პიატიგორსკში არქიტექტორის თანაშემწედ სააბაზანო შენობების მშენებლობაზე, 1901-05 - ბაქოში, 1905-07 დაწყებით დაპროექტებას ასწავლიდა მოსკოვის სტროგანოვის სასწავლებელში, 1907-იდან კი თბილისში დამკვიდრდა. 1922- იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 1922-30 იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის, ხოლო 1930-იდან გარდაცვალებამდე - ინდუსტრიული ინ-ტის პროფესორი.

კ-მა თავისი მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირა ქართულ კულტ.-სამეცნ. საქმიანობას. 1907 მონაწილეობდა ე. თაყაიშვილის მიერ ჩატარებულ ექსპედიციაში არტაანის, ოლთისისა და ყალიბმანის ოლქებში, სადაც აზომა როგორც სას., ისე საფორტიფიკაციო დანიშნულების მრავალი ნაგებობა, მ. შ. ქართ. ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლი - ბანას ტაძარი, რ-ის რეკონსტრუქციის საკუთარი ვარიანტიც შეადგინა. 1917 კ. ე. თაყაიშვილთან ერთად კვლავ ტაო-კლარჯეთშია. ამ ექსპედიციის დროს მის მიერ შესრულებულ ანაზომებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ქართ. ხუროთმოძღვრების კვლევისათვის, რადგანაც წლების განმავლობაში ეს იყო ერთადერთი გრაფ. დოკუმენტი X-XI სს. შესანიშნავი ძეგლებისა - ოშკის, ხახულის, იშხნის და სხვათა შესასწავლად. კ. შემოქმედებით საქმიანობასაც ეწეოდა. მის ნამუშევართაგან აღსანიშნავია თბილ. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შენობა, რ-ის პროექტი მან მხატვარ ჰ. პრინევსკისთან ერთად შეადგინა და რ-საც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ახ. ქართ.

ხუროთმოძღვრების ისტორიაში (1913–16, ახლანდ. საქართვე. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსი), აგრეთვე ზემოავჭალის ჰესი (ზაჰესი, 1927, კ. ლეონტიევთან და მ. მაჭავარიანთან ერთად), რ-ის არქიტექტურამ დიდი გავლენა იქონია იმ დროის ქართულ ხუროთმოძღვრებაზე. დაკრძალულია მცხეთაში, სამთავროს ტაძრის გალავანში.
